დანართი N13
დამტკიცებულია
სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლის
დირექტორის ბრძანება N2-148. 04.07.2023

სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია

სსიპ ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა

2023 წელი

მუხლი 1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტით, სსიპ - ქალაქ ქუთაისის N14 საჯარო სკოლა (შემდგომში „სკოლა“) არეგულირებს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას.

მუხლი 2. სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების რეგულაცია

1.სწავლის დაწყებისთანავე (პირველ კლასში) სსსმ სტატუსის მიღების რეგულაცია;

1.1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი უთითებს პირის სავარაუდო სპეციალურ საჭიროებაზე და მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასების მოთხოვნის მიზნით ავსებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ სპეციალურ ფორმას.

1.2 სპეციალურ ფორმას, თანდართული დოკუმენტებით, სკოლა უგზავნის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომელიც მოავლენს მულტიდისციპლინურ გუნდა კანონით განსაზღვრულ ვადაში;

1.3. მულტიდისციპლინური გუნდი აფასებს მოსწავლეს იღებს გადაწყვეტილებას სტატუსის მინიჭება/არმინიჭების შესახებ.

2. მოსწავლის სტატუსის მქონე პირებისათვის სსსმ სტატუსის მოპოვების რეგულაცია

2.1. იმ შემთხვევაში, თუ საგნის მასწავლებელი/კლასის დამრიგებელი მიიჩნევს, რომ მოსწავლეს, თანაკლასელებთან შედარებით, აქვს სირთულე სწავლაში და მისთვის საჭიროა ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირება, ან/და სასწავლო გარემოს მოდიფიცირება, ან/და სასწავლო გარემოს ადაპტაცია, ან/და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, ამის შესახებ მასწავლებელი/ დამრიგებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლის დირექტორს.

2.2. სკოლა ვალდებულია მიმართოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს და ორგანიზებას უწევს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის, დამრიგებლის და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების შეხვედრას.

2.3. მშობლის/ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის შემთხვევაში, სკოლა ამზადებს შესაბამის დოკუმენტაციას და წარუდგენს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის გამოყოფის თაობაზე, რათა დრიულად მოხდეს სპეციალური საჭიროების დადგენა.

2.4. იმ შემთხვევაში, თუ მშობელი არ ეთანხმება მასწავლებლის/დამრიგებლის მოსაზრებას ბავშვის მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასების საჭიროებას, ამის შესახებ მან უნდა განაცხადოს წერილობით. დირექციის/სპეციალური მასწავლებლის/კვალიფიციური პირის მიერ ჩატარდეს მასთან დამატებითი საუბრები, ვურჩიოთ შესაბამისი ლიტერატურა, რათა მოხდეს მშობლის დარწმუნება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

მუხლი 3. სსსმ სტატუსის მოხსნის რეგულაცია

1. სტატუსის მოხსნის ინიციატორი შეიძლება იყოს მასწავლებელი/მასწავლებლები, კლასის დამრიგებელი, სპეციალური მასწავლებელი, რომელიც დაასაბუთებს სსსმ მოსწავლის მნიშვნელოვან წარმატებებს სწავლის პროცესში

2. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის შემთხვევაში, სკოლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სპეციალური ფორმით მიმართავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის გამოყოფის შესახებ, რათა გამეორებით მოხდეს სსსმ მოსწავლის მიღწევის შეფასება.

მუხლი 4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაცია/მონიტორინგი

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით, სკოლის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, რომლის საფუძველზეც იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც ვალდებულია:

1.1. სწავლის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში შექმნას სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა თითოეული საგნისათვის, მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით , მოკლე და გრძელვადიანი მიზნების დასახვით.

1.2. შეიკრიბოს სემესტრში მინიმუმ 2-ჯერ და განიხილოს ინდივიდუალური გეგმის შესრულების საკითხი, მიღწევები და სირთულეები;

1.3. მჭიდრო კომუნიკაცია ჰქონდეს მშობელთან და სისტემატურად განიხილოს მიღწევები და სირთულეები.

1.4. იზრუნოს სსსმ მოსწავლის აქტიურ ჩართულობაზე საგაკვეთილო და სასკოლო აქტივობებში.

1.5. საკუთარი შედეგები გაუზიარონ სასკოლო საზოგადოებას, მასთან ერთად დასახოს წინსვლის გეგმები და მექანიზმები

1.6. სკოლა ვალდებულია წელიწადში ორჯერ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე მოისმინოს და შეაფასოს ისგ ჯგუფის მუშაობა.

1.7. სკოლა ვალდებულია შექმნას მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს შეაფასებს ისგ ჯგუფის შედეგებს და ინფორმაციას წარუდგენს დირექციას

1.8 სკოლის დირექტორი ვალდებულია, სასწავლო წლის ბოლოს მონიტორინგის ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნა ისგ ჯგუფის მუშაობის შესახებ წარუდგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

მუხლი 5. სკოლის ვალდებულებები

1. შენობა-ნაგებობის ფიზიკური გარემოს მოწყობის მიზნით, ითანამშრომლოს სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთან.
2. სკოლა, საკუთარი რესურსების ფარგლებში, პასუხისმგებელია სსსმ მოსწავლეებისათვის სპეციალური საგანმანათლებლო გარემოს შექმნაზე.
3. სხვადასხვა ტიპის დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნის მიზნით, ითანამშრომლოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. დადგენილი წესით მიმართოს სამინისტროს შესაბამისი მოთხოვნით.
4. კანონით დადგენილი კონკურსის წესით შეარჩიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალური მასწავლებელი და/ ან სხვა მუშაკი, რომელიც აუცილებელია სსსმ მოსწავლის განვითარებისათვის.
5. მინიმუმ, 3 თვეში ერთხელ მოახდინოს სსსმ მოსწავლის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება მოსწავლის მიღწევების შესახებ.
6. კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას კოორდინირებას გაუწევს სპეციალური მასწავლებელი.

მუხლი 5. სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობის უზრუნველყოფის რეგულაცია

1. სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვის მიზნით, პედაგოგიურ საბჭოზე დამტკიცდეს ისგ გეგმის ზოგადი შაბლონი.
2. შედგენილი ინდ. გეგმების დამტკიცებისას პედაგოგიურ საბჭოზე მოვიხსენიოთ მოსწავლის მხოლოდ სახელი და გვარის მხოლოდ პირველი ასო-ბგერა.
3. მოსწავლის ინდივიდუალურ გეგმებზე წვდომა აქვს მხოლოდ საგნების მასწავლებლებს, დამრიგებელს, სპეციალურ მასწავლებელს და სკოლის დირექციას.
4. მოსწავლის პირად საქმეში განთავსებული ისგ ოქმები ხელმისაწვდომია კლასის დამრიგებლის, სპეციალური მასწავლებლისა დ სკოლის ადმინისტრაციისათვის.
5. სკოლა უფლებას იტოვებს, სსსმ მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე , მასთან და მის კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით, გამოფინოს მოსწავლის მიერ შექმნილი სხვადასხვა რესურსი.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებული და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილების შეტანა ხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.